ცნობის ფურცელი

№ 1947 **სამშაბათი, 8 ოქტომბერი** **1896—1902** **ყოველ-დღიური გამოცემა** **№ 1947**

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და ქ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეფროსინე დავითის ასული, ძმები: კოწია, ასლან და ლევან ჩითანის ძენი და თამარა ივანეს ასული თავართქილაძეები უღრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას ქ. სოხუმში პირველი საყვარელის შვილისას, მეორეში ძვირფასის ძმისას და მესამე—მაზლისას

სიო ჩითანის ძის თავართქილაძისას.

მიცვალებულს წამოასვენებენ სოხუმიდან ოზურგეთს. დაკრძალვა იქმნება 8 ოქტომბერს—სამშაბათს 1 საათზე.

კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოება

სთხოვს „საზოგადოების“ წევრთ, მეურნეთ და ყველას, ვისაც სამეურნეო საქმეები ეინტერესებათ, მობრძანდნენ „საზოგადოების“ საერთო კრებაზე, რომელიც დღეს, სამშაბათს, 8 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზეა დანიშნული.

განსახილველია: განსაკუთრებულ საბჭოს მიერ შედგენილი პროგრამა სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა შესახებ. არა-წევრთაც შეუძლიათ ამ კრებას დაესწრნენ. (1—6.—1)

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი

(ტელეფონი № 617)

დღეს, სამშაბათს, 8 ოქტომბერს, ხარკოვის საოპერო დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

რიგოლეტტო

ოპერა 4 მოქმედ. მუსიკა ვერდისა.

1-ლ დებიუტისთვის აასრულებენ: ჯილდას როლს—**ქ. თუგინისა**, ჰერცოგისას—**ბ. დნეპროვსკი** და სპარაფუჩილესას—**ბ. ტომაშევიჩი**.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ოლგინისა, კარამზინ-ჟუკოვსკისა, სკორუპსკისა, გრინჩენკო; ბ-ნნი: დნეპროვსკი, პოლუიანოვი, ტომაშევიჩი, პეტროვი, პევცოვი, სვაბოდინი და სხვანი. **კაპელმეისტერი** ლ. შტეინბერგი. **ხორმეისტერი** ა. გ. ზვერჟანსკი. **ბალეტმეისტერი** მენაბენი. **ადმინისტრატორი** მ. დურანდინი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასსა ღიაა დილის 10-დან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღ. 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე.

ხვალ, 9 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქნება **„გუგენოტები“**. რაულის პარტიას აასრულებს ბ. ბონაჩიჩი.

ხუთშაბათს წარმოდგენა „ტფ. კრუჟოკ“-ში გაიმართება.

სახელოვნო ნაწილის გამგე **ივ. ფითოევი.**

(ნ. 0—16)

წარმოდგენა 4 ტელეფონი 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს. 10 ოქტომბერს 1902 წ.

ნინო ჩხეიძის საბენეფისოდ

ქართულ დრამატიულ დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

ორი პიესა

I

უბედური ნაბიჯი

დრამა 3 მოქმ. კარეევისა, თარგ. თავ. შ. დადიანის მიერ.

II

კვალ-და-კვალ

კომ. 3 მოქმ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რონელი, ნ. ჩხეიძე, ჩერქეზიშვილი და სხვ.; ბ-ნნი: დ. აწყურელი, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ლანდი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი: ლოჟები 5 მანეთიდან 10 მანეთამდე, პარტერი 70 კაპეიკიდან 3 მანეთამდე, ამფითეატრი 80 კ.-დან 1 მ. 50 კ-მდე, გალერეა 25 კ-დან 35 კ-მდე. მოწაფეებისთვის ადგილები პარტერში 60 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

მზადდება წარმოსადგენად: „მუშაკი და ნებიერი“, „უბედურ ვარსკვლავზე“ და სხვ.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ექიმი

ნ. ტ. მულინი

იღებს ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებით ავადმყოფთ. დილით 11—1-დე. საღამოთი 4—6-მდე. სუდებნი ქუჩა, სახლი № 30.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

გ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 9—11.

პ. ზ. ბარხუძოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. მ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინამეგადისა, № 21. (აგზალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 474. (წლ.)

კვირას, 13 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

კრება

ნაცვლად არ შემდგარის კრებისა. განსახილველია: 1) წარსული წლების ანგარიშები და 2) ამხანაგობის პირობის ზოგიერთ მუხლების გადასინჯვა.

კრება იქმნება ამხანაგობის სადგომში, ვანქის დიდ ქუჩაზე. (3—1)

წერილები

სოფლის საჭიროებათა შესახებ

III

გლეხთა მდგომარეობა სადადეშქელიანო სვანეთში

საქართველოს არც ერთ კუთხეში ისე მოუწყობელი, განუსაზღვრელი და განუწესრიგებელი არ არის გლეხების მდგომარეობა, როგორც სადადეშქელიანო სვანეთში. ბატონ-ყმობის გაუქმებამ სხვა კუთხეებთან შედარებით სულ სხვა პირობებში ჩააყენა აქაური გლეხობა. 19 თებერვლის მანიფესტმა სრულად თუ არა, ნახევრად მაინც მიანიჭა გლეხს თავისუფალ მეურნეობისა და მოქმედების ასპარეზი; სადადეშქელიანო სვანეთში-კი ამ დიადმა ისტორიულმა აქტმა ბატონ-ყმობა არა თუ მოსპო, არამედ უფრო მკვიდრი ნიადაგი მოუპოვა; იმისი ზღუდეები კი არ დაანგრია, არამედ უფრო გაამაგრა. როგორ მოხდა ეს, იკითხავს განცვიფრებული მკითხველი? აი როგორ. მაგრამ, სანამ ამაზე ვუპასუხებდეთ, საგნის ნათლად წარმოდგენისთვის საჭიროა მცირედ მაინც გავიცნოთ, თუ რა მდგომარეობაში იყო სვანეთში ბატონ-ყმობა მე-70-ე წლებამდის, ესე იგი ბატონ-ყმობის გადავარდნამდის.

თვით თავ. დადეშქელიანებისა და იმ დროის მომსწრე სვანების სიტყვით, გლეხი ვალდებული იყო მიერთმია ბატონისთვის ორის წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი ძროხა; აი ამით გამოიხატებოდა ქონებრივი სამსახური გლეხისა ბატონისადმი. მიწის მფლობელობა ბატონთა და გლეხების შორის განსაზღვრული იყო. გლეხს თავისი საკუთარი მიწა, ტყე და საბალახო ჰქონდა, რომელსაც, როგორც საკუთრებას, ისე ეპყრობოდა: გაჰყიდდა, გააჩუქებდა და სხვ. არავითარ ღალას, გარდა ზემოდ მოხსენებულისა, არ იხდიდა გლეხი არც მიწისა, არც ტყისა და არც საბალახოსას. რაც შეეხება პირად სამსახურს, უნდა შევნიშნოთ, რომ იგი დაკანონებული და აუცილებელი არ იყო გლეხისათვის. მართალია, გლეხთა შრომით სარგებლობდნენ ბატონები, მაგრამ ამას უფრო კერძო განწყობილების და ურთიერთობის, ვიდრე ვალდებულობის, ხასიათი ჰქონდა. გლეხის პირადი დამოკიდებულება განსაზღვრულ-დაკანონებული იყო ეგრედწოდებული „საქვრივო“-თი. ქვრივის გათხოვების ნება ჰქონდა მხოლოდ ბატონს და ახდევინებდა საქმროს, როგორც ამბობენ, ორას მანეთამდის, რასაკვირველია, არა ფულად. აი, შინაარსი ბატონ-ყმურის წყობილებისა სადადეშქელიანო სვანეთში. ამგვარად, როგორც მკითხველი ჰხედავს, ბატონ-ყმობას სვანეთში თითქმის არავითარი მსგავსება არა ჰქონია ასეთსავე წყობილებასთან საქართველოს სხვა კუთხეებში.

ასე იყო მესამოცდაათე წლებამდის; მაგრამ ამ დროდან ჩარხი უკულმა დატრიალდა და გლეხის ნივთიერი და სოციალური მდგომარეობა ძირინად შეიცვალა. 1870 კომისიამ, რომელიც შესდგებოდა მომრიგებელ შუამავალთაგან, მაშინდელ გუბერნატორის გეგმით და მინდობილებით, შემდეგის სახით განაწესრიგა მიწის მფლობელობა სადადეშქელიანო სვანეთში: თვითეულ კომლ გლეხს მიუზომა საუკუნო სამფლობელო-საკუთრებად ხუთი ქცევა მიწა*). ამ რიცხვში შედის სამოსახლოც, სახნავ-სათესიც და სთიბიც. ხოლო საბალახო, ტყე წყალი და დანარჩენი სახნავ-სათესი მიწა, რომელიც სივრცით მთელ გლეხობის მიწას უდრის, ცნობილ იქმნა მებატონის საკუთრებად. მართალია, ადგილი არა ჰქონია ეგრედ წოდებულ „დროებით ვალდებულებს“, მაგრამ, სამაგიეროდ, გლეხის უძრავი ქონება ისეთს ვიწრო ფარგალში მოემწყვდა, რომ იმას არა თუ დროებით ვალდებულებისა, საუკუნო ვალდებულების ბეჭედი დაესვა და ნამდვილი ბატონ-ყმური მძიმე უღელი დაედო კისერზე. მართლაც და განა შესაძლებელი იყო ოთხისა თუ ხუთის ქცევა მიწის პატრონ გლეხს, დამოუკიდებელი მეურნეობა დაეწყო? რასაკვირველია, არა. ამას გარდა, რომ ოთხ, გინდ ხუთ ქცევა მიწას არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა გლეხის არსებითი მოთხოვნილებანი, იმას ხელიდან გამოეცალა საკუთარი საბალახო, ტყე და წყალი, ესე იგი გლეხის მეურნეობის ისეთი ელემენტები, ურომლისოდად შეუძლებელია თვით ეს მეურნეობა. ყოველივე ეს კარგად იგრძნო მებატონემ; იგრძნო, რომ გლეხი ნამდვილად მხოლოდ დღეს შეიქმნა იმისი ყმა. შეიგნო ყოველივე ეს მებატონემ და შეუდგა კიდეც დროთა-ვითარების მიერ მინიჭებულ უფლებებით სარგებლობას.

ახლა ჩაუკვირდეთ ამ განთავისუფლებული ყმის მდგომარეობას. პირველ ყოვლისა გლეხს დაედვა გადასახადად მიწის ღალა, რაიცა წინად, განთავისუფლებამდის, არ იცოდა. ღალას იხდის გლეხი დღეს სახნავსათესის იმ ნაწილისათვის, რომელიც წინად იმის საკუთრებას შეადგენდა, მაგრამ შემდეგ ცნობილ იქმნა მებატონის საკუთრებად. ღალის რაოდენობა დამოკიდებულია გლეხისა და მებატონეს კერძო მორიგებაზე. ეს მორიგება-კი შემდეგს პირობებზეა დამყარებული: გამოანგარიშებულია, კარგ მოსავლიან წელიწადის კვალობაზე მოსავლის რაოდენობა განსაზღვრულ სახნავ მიწაზე და ამგვარად გამოანგარიშებულ მოსავლის ნახევარი ან $^2/_3$ მიაქვს მიწის პატრონ-მებატონეს. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ცუდმოსავლიანი წელიწადი სრულებით ვერა სცვლის ღალის რაოდენობას; ხოლო ასეთი შეუცვლელობა ღალის ნორმისა კი ხშირად გლეხს მთლად ბატონის მკვებავ-მორჩილადა ჰხდის, რადგან მოსავალს ყოველთვის არ უწყობს ხელს ჰავა და ამინდი. ამის გამო ხშირად გლეხის მთელის წლის ნაშრომ-ნაღვაწი მარტო მიწის პატრონს ძლივს აკმაყოფილებს, თვით მშრომელი კი პირლია რჩება. ხშირად გლეხი ღალას ფულად იხდის; ამ შემთხვევაში იხდის იმ ფასს კი არა, რომელიც იმ დროს პურის საშუალო ფასად ითვლება, არამედ ყოველთვის ადგილობრივ საწყაოზე მეტს. ამ რიგად ფასის გადამწყვეტი მებატონეა და არა ადგილობრივი მაზანდა. მიწის ღალის გარდა თვითეულმა კომლმა მებატონის სასარგებლოდ უნდა გადაიხადოს ხუთი მანეთი ეგრედ წოდებული „საკალანდო“. ამ ხუთის მანეთის გადახდით გლეხს ეძლევა უფლება საძოვ მინდვრებსა და ღრიანკელებზე საქონლის გამორეკისა და ტყის სარგებლობისა მარტო შეშით. ყოველ წლიურ გადასახადად აძევს გლეხს აგრეთვე წისქვილის ბაჟი. წისქვილის ბაჟს იხდის არა მარტო ის, ვისაც წისქვილი უდგია, არამედ ისიც, ვისაც არ უდგია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველი იხდის წელიწადში ორ მანეთს, ხოლო მეორე მანეთს. როგორც სვანეთში ამბობენ, წისქვილის გადასახადი ამ უკანასკნელ წლების რეფორმაა. წინად

---

*) ოც-და-ათის წლის განმავლობაში ეს პატარ საკუთრება ისე დაქუცმაცდა, რომ დღეს ხშირია ისეთი გლეხი, რომელსაც ერთი ქცევა მიწაც არა გააჩნია.

გადასახადი მხოლოდ წისქვილის პატრონთ ერთმეოდათ.

აქ ჩამოთვლილ სამის კატეგორიის გადასახადი ყოველ წლიურად აუცილებელია. ისე აუცილებელი, როგორც სახელმწიფო ბეგარა. მაგრამ მეტს გაჭირვებას იტანს გლეხი კერძო შემთხვევით გადასახადებისთვის. ასეთი გადასახადები არ არის განსაზღვრული არც კანონით და არც ჩვეულებით. ამიტომ გადასახადები იცვლება და იზრდება ისეთის თანდათანობით და სისწრაფით, როგორც იზრდება და ფართოვდება მებატონეთა ცხოვრების მოთხოვნილება. ასეთს გადასახადებს ეკუთვნის სილის (ქვიშისა), ქვის და ტყის ბაჟი. სილა და ქვა სვანისათვის უსაჭიროესს საგნებს წარმოადგენენ, რადგან მკაცრი ბუნება იძულებულს ჰხდის ქვის სადგომი გაიკეთოს. ხის სახლები აქ ძლიერ იშვიათია, ასეთი სახლების შენება მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში დაიწყეს სვანებმა, რადგან სილას და ქვას ერთობ ზღაპრული ბაჟები დაადვეს მობატონეებმა. მაგალითად, ერთ სართულიან, საშუალ-ზომის სახლის აშენების დროს, მარტო სილის და ქვის ბაჟი გლეხმა ორთა შუა რიცხვით ასი მანეთი უნდა გადაიხადოს, ხშირად მეტიც. აი რა სისასტიკის პირობებით არის გარემოცული სახლის აგების საქმე სადადიშქელიანო სვანეთში! ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის მოვლენა, რომ ძმები იშვიათად იყოფებიან სვანეთში. ხშირად ერთ ჭერ-ქვეშ ოცი, ოც-და-ათი სული სცხოვრობს, ამავე ჭერქვეშ მოთავსებულია გლეხის ავლა-დიდება: შინაური პირუტყვი—ხარი, ძროხა, ცხენი, ცხვარი, თხა, ღორი და სხვა... ადვილი წარმოსადგენია, როგორი ჰაერი და სანიტარული პირობები იქნება ამ გვარ სადგომში.

ასეთ დამოკიდებულებაშია ნივთიერად გლეხი მებატონისაგან. მაგრამ ამით არ ირკვევა და თავდება გლეხისა და მებატონის ურთიერთობა. გლეხი, დამოკიდებული ეკონომიურად, დამოკიდებული შეიქნა იურიდიულადაც. ეს მეორე სართული ბატონყმურის წყობილებისა უფრო მწვავი, აუტანელი და გლეხის მიწასთან გამასწორებელია. არ არის ისეთი მხარე, ისეთი კუნჭული გლეხის ცხოვრებაში, რომელსაც მებატონის გავლენის და ბრძანების ბეჭედი არ ესვას. მებატონე არის პირველი და უკანასკნელი ინსტანცია მართლმსაჯულებისა გლეხებსა და მებატონეებს შორის. ამ მართლ მსაჯულების წინაშე ქედი უნდა, მოიხაროს უთუოდ გლეხმა, თუ უნდა რომ ძირიანად არ შეერყეს და აღმოიფხვრას... მამასახლისი, სუდია, ასე წარმოიდგინეთ, ბოქაულიც-კი, როგორც წარმომადგენელნი და დამცველნი სახელმწიფო არსებულ კანონებისა, აქ ფიქციაა მხოლოდ. ისინი უფრო მებატონის ბრძანების და სურვილის ამსრულებელნი არიან, ვიდრე სამართლიანობის და სახელმწიფო კანონების გამტარებელნი ცხოვრებაში. მომრიგებელ-შუამავალის არსებობაც კი არ უწყიან სვანებმა, რადგან იგი ლეჩხუმში ცხოვრობს—და არც ყოფილა მაგალითი, რომ მომრიგებელი-შუამავალი ჩარეულიყოს გლეხებისა და მებატონეების საქმეში.

ჩვენ მხოლოდ საზოგადო, მკრთალი სურათი დავუხატეთ მკითხველთ გლეხის მდგომარეობისა. მაგრამ ამ მკრთალის სურათიდანაც მკითხველი საკმაოდ დაინახავს, რა აუტანელ პირობებში სცხოვრობს სვანი. ასეთს პირობებში სვანს, რასაკვირველია, ფიქრადაც არ გაუელვებს მეურნეობა-ოჯახობისა და ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესება. სვანის ცდა ასეთს პირობაში იმით გამოიხატება მხოლოდ, რომ როგორმე მებატონე დააკმაყოფილოს. მწარე აწმყოსა და წარსულს მასში ყოველგვარი მხნეობა თავისი თავის იმედი და უკეთესის მომავალი მისწრაფება მოუკლავს: დღეს სადადიშქელიანო სვანეთის გლეხობის სიღარიბე, გაჭირვება და შევიწროება იმ უმწვერვალეს წერტილამდის არის მიღწეული, რომ ერთ დროს ბარში სიცოცხლის უარმყოფელი, ხოლო მთაში სიკვდილის მორჩილი სვანი, მზად არის დასტოვოს თავისი კერა, გადასახლდეს სადმე, ოღონდ თავისუფლად ამოისუნთქოს! იყო მაგალითი, რომ სვანის რამდენმამე ოჯახმა ითხოვა ადგილი აფხაზეთში დასასახლებლად.

იმედია, საგუბერნიო სამეურნეო კომიტეტები, რომელნიც ამ ჟამად მუშაობენ სოფლის საჭიროებათა გამოსარკვევად, მიაქცევენ ყურადღებას სადადიშქელიანო სვანეთის გლეხობის დაბეჩავებულ მდგომარეობას და გამონახავენ საშუალებას, რომ აქაურ გლეხის ყოფა-ცხოვრების მიმდინარეობა ისეთ ნორმალურს კალაპოტში მაინც ჩადგეს, როგორშიც სხვაგან დროებით ვალდებულნი გლეხნი არიან. ძირითად საშუალებად კი იმისთვის, რომ სვანი თავისუფალი მეურნე შეიქმნეს დ კულტურულ გზას დაადგეს, ჩვენ მიგვაჩნია გამოსყიდვა მებატონეთაგან ჩამონაჭერ, სახნავ-სათესის მიწებისა, სათიბებისა და ტყისა. ეს გამოსყიდვა უნდა იდოს თავს ჯერ-ჯერობით, რასაკვირველია, ხაზინამ; შემდეგ შეღავათიანის პირობებით გადაახდევინოს ისევ გლეხობას ეს ფულები. ასეთი მაგალითი ყოფილა აქ. სოფ. ვარი, რომელიც წინად სადადიშქელიანო იყო, დღეს სახაზინოა და იქაურნი აქაური გლეხობაზე გაცილებით მაღლა სდგას. თუ ეს არ მოხერხდება, იმ შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა, მთავრობამ განაწესრიგოს და განსაზღვროს გლეხობისა და მებატონეთა ურთიერთობა. საჭიროა მოისპოს სრულიად სილის და ქვის ბაჟი, ან და გადაწყვეტილი ფასი დაედოს. გარდა ამისა სვანეთის კეთილ-დღეობისა და კულტურულ წინსვლისათვის აუცილებლად საჭიროა სვანეთი დაუკავშირდეს მკვიდრად სამეგრელო-იმერეთს. ასეთი დაკავშირება კი შეუძლიან გზას, რომელიც უნდა გავიდეს უთუოდ ენგურის პირას ზუგდიდამდის. ამ გზას დიდი მნიშვნელობა ექნება როგორც სვანეთისა, ისე დასავლეთ საქართველოსთვის. ბევრჯელ აღიძრა ამ გზის გაყვანის შესახებ ლაპარაკი, მაგრამ არასოდეს ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა...

დ. ანჭონიძე.

საზღვარ-გარედ

ინგლისი. დეპეშებშიაც ეწერა და ეხლა გაზეთებიც სწერენ, ჩემბერლენმა ბირმინჰამში უნიონისტების კრება მოახდინა და გამოაცხადა, თუ სასკოლო ბილი (კანონ-პროექტი) არ დამტკიცდა, მთავრობა სამსახურიდან გადადგებაო. მთავრობის მომხრე უნიონისტებში ბევრს არ მოსწონს სასკოლო ბილი და აშკარადაც ჰკიცხავენ ამ ბილს. ჩემბერლენს უთქვამს: არც თუ მე მომწონს ეს ბილი, მეც საერო სკოლის მომხრე ვარ, მაგრამ ინგლისის უმეტესობას ჰსურს, სკოლებში სარწმუნოებას ასწავლიდნენ. მთავრობამაც ამიტომ წარადგინა თავისი ბილი და კიდევაც ეცდება, რომ პარლამენტსაც მიაღებინოს. თუ უნიონისტები ეხლანდელს მთავრობას სწუნობენ, განა რადიკალურ მთავრობას კი მოიწონებენო? მერე ჩემბერლენს დაწვრილებით აუხსნია, თუ რა საშინელი შედეგი მოჰყვება რადიკალების ბატონობას: ირლანდიას ჰომრულს მიანიჭებენ, სამხრეთ-აფრიკის ბედს ბუროფილებს გადააწყვეტინებენ, იმპერიის ინტერესებს არად ჩააგდებენ და სხ.-და-სხვ. დასასრულ მინისტრს უთქვამს: მთავრობა წინააღმდეგი არაა, ბილი შეიცვალოს, მაგრამ უკან კი არას დროს არ გაიტანს. ვურჩევ უნიონისტებს კარგად დაუფიქრდნენ ამ საქმეს და კარგად ასწონ-დასწონონ, რა შედეგი მოჰყვება იმათ წინააღმდეგობას.

ლიბერალური გაზ. „დეილ ნიუს“-ი ამბობს, ჩემბერლენის ნალაპარაკევმა ბირმინჰამის კრებაზე სასურველი გავლენა იქონიაო. ბევრი უნიონისტი მოჰხიბლა ჩემბერლენის მჭევრ-მეტყველობამ: წინააღმდეგობაზე ხელი აიღეს და დაჰხმარებას დაჰპირდნენ მთავრობას.

ამავე საგანზე სამხედრო მინისტრს ბროდრიკსაც ულაპარაკნია და იგივე უთქვამს, რაც ჩემბერლენმა გამოაცხადა: „ან ბილი დამტკიცდება, ან არა მთავრობა სამსახურიდან გადადგებაო.“

◆ ირლანდიელებს ჯერ გადაწყვეტილი არა აქვთ, რა ტაქტიკას დაადგნენ სასკოლო ბილის გარჩევის დროს, ზოგი წინააღმდეგია, ზოგი მომხრეა ბილისა. ჯონ რედმონდმა ამის თაობაზე კრებაც მოახდინა, მაგრამ ამბობენ, კრებამაც ვერა გადასწყვიტა-რაო.

◆ ლიბერალებმა აგიტაცია გაჰმართეს, სამუდამო ფონდი დავაარსოთ ლიბერალ-კანდიდატების ასარჩევადაო. ეს საქმე რამდენმამე გამოჩენილ ლიბერალ მოღვაწეებმა ითავეს. არჩევნის დროს იმოდენა ხარჯი მოსდით კანდიდატებს, რომ ღარიბ კაცს, რაც უნდა ღირსეულიც იყოს, არ შეუძლიან კანდიდატად გამოსვლაო, ამიტომ არჩევნის დროს კანდიდატის სიმდიდრეს უფრო უგდებენ ყურსა, სინამ სხვა ღირსებას. უსათუოდ საჭიროა, სამუდამო ფონდი დაარსდეს, რომ ღარიბს, მაგრამ ღირსეულ კაცსაც, შეეძლოს კანდიდატად გამოსვლა.

◆ წარსულს პარასკევს დუბლინში ირლანდიელმა ლენდ-ლორდებმა კრება მოახდინეს საადგილ-მამულო საქმეებზე მოსალაპარაკებლად. ლორდ მაიომ წინადადება მისცათ: ლენდ-ლორდების და ფერმერების კონფერენცია მოვახდინოთ, რომ საადგილ-მამულო საქმეზე ერთად მოილაპარაკონო. კრებამ 77 ხმის უმეტესობით 14-ის წინააღმდეგ უარ-ჰყო ეს წინადადება.

◆ ქალ. გლასგოში გლადსტონის ძეგლი აკურთხეს. ამის გამო ლორდ როზბერიმ სიტყვა წარმოსთქვა და ლიბერალურ პარტიის დიდებულ წინამძღოლის ღვაწლი აქო და ადიდა.

საფრანგეთი. 25 სექტემბერს ლიონში რადიკალურ და რადიკალ-სოციალისტურ პარტიის მეორე კონგრესი მოხდა. კონგრესი პარტიის პროგრამისა და მოქმედების განსახილველად იყო შეკრებილი. პარტიის უმთავრესი მეთაურები არ დაესწრნენ კონგრესს: კომბი ბევრის საქმისა და ბრისონი და ბურჟუა კიდევ ოჯახის საქმეებისა გამო. კრების თავმჯდომარეობა სენატორმა დელპეშმა იკისრა. თავმჯდომარემ სიტყვა წარმოსთქვა და ამტკიცებდა, საჭიროა რესპუბლიკელებმა თავიანთ პარტიის წევრების სამუდამო ორგანიზაცია დააწესონო. კონგრესს უმთავრესად შემდეგ საგნებზე ექნება მსჯელობა: ფალუს კანონის გაუქმებაზე,—ეს კანონი სწავლების თავისუფლებას შეეხება,—ნება დაურთველ კონგრეგაციების საფრანგეთში დაბინავების თაობაზე და სახელმწიფოსაგან ეკლესიის განცალკევებაზე. კონგრესმა, სხვათა შორის, შემდეგი საყურადღებო რეზოლიუციები დაადგინა: 1) კონგრესს იმედი აქვს, მთავრობა კლერიკალებთან ბრძოლას რიგზე დაამთავრებს; 2) კონგრესს ომი განათლებულ ხალხისთვის დიდ სირცხვილად მიაჩნია; ამიტომ სთხოვს მთავრობას, ყველა საერთაშორისო შეთანხმებას ხელი შეუწყოს და ეცადოს, რომ ყველა საერთაშორისო დავა სამედიატორო სამართლით გადასწყდეს; ეხლანდელი სამხედრო სასამართლოები გაუქმდეს და სამხედრო სასამართლოების წესდება შეიცვალოს. კონგრესმა დაადგინა აგრეთვე: სასურველია სახელმწიფომ ყველა დაშავებულ და მოხუცებულ მუშებს, რომლებსაც ცხოვრების სახსარი არა აქვთ, პენსია დაუნიშნოს.

საადმინისტრაციო რეფორმის თაობაზე არჩეულმა კომისიამ შემდეგი ცვლილება დაინახა საჭიროდ: ყველა უსარგებლო თანამდებობა უნდა გაუქმდეს, დიდრონი ჯამაგირები შემცირდეს; წვრილ მოხელეებს ჯამაგირები მიემატოს; საქმის წარმოება გამარტივდეს და მიწერ-მოწერა შემცირდეს; დასასრულ ადმინისტრატიული დეცენტრალიზაცია მოხდეს.

ავსტრო-უნგრეთი. უნგრეთის პარლამენტის პირველ სხდომაზე პირველ მინისტრს სელს უსაყვედურეს, ვენის სასახლის წრეებს დიდი გავლენა აქვთ შენზე და როგორც იმათ ჰსურთ, შენც ისე იქცევიო. სელმა მაშინვე დიდის გულის წყრომით უარ-ჰყო ეს საყვედური და დაიძახა: პატიოსან სიტყვას გაძლევთ, მე სრულიად დამოუკიდებლად ვიქცეოდი, უფლება არავისა აქვს ჩემი სიტყვა არ დაიჯეროსო. გაზეთებმა მეორე დღეს წერილები უძღვნეს ამ ამბავს და უმეტესობამ სელის მხარე დაიჭირა. როცა პარლამენტის სხდომა გაიხსნა, ფრანც კოშუტმა კიდევ მოსთხოვა სელს საქმის განმარტება. სელმა უპასუხა: დამოუკიდებელ პარტიას დანდობას არას დროს არა ვსთხოვ. ყველას უფლება აქვს მთავრობა გაჰკიცხოს, მაგრამ არავის ნებას არ მივცემ, ავსტრიასთან შეთანხმებას ხელი შეუშალონ. კოშუტის მიმდევრებმა უპასუხეს, ჩვენსას არ მოვიშლით, რადგანაც, ჩვენის აზრით, კანონის ძალით სელს უფლება არა ჰქონდა შეთანხმებაზე მოლაპარაკება გაემართაო. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს, სელს დაწვრილებითი განმარტება მოვსთხოვოთ შეთანხმების თაობაზეო.

◆

ახალი ამბავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ **გზათა მინისტრი თავ. ხილკოვი** გუშინწინ ჩამოვიდა ტფილისს ნაშუადღევის მეორე საათზე და სასტუმრო „ლონდონ“-ში ჩამოხტა. ბ-ნი მინისტრი არა სამსახურის მოვალეობით მოგზაურობს, ამიტომაც მთხოვნელებს არ იღებსო, როგორც გადმოგვცეს.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მთავარ-მართებლის წინაშე. საბჭო სთხოვს, ნება მიეცეს გამართოს **თელავის, გორის და სიღნაღის მაზრებში მეურნეთა კრებები** სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა გამოსარკვევად. სიღნაღისა და თელავის მაზრებისათვის კრება უნდა გაიმართოს თელავში, ხოლო გორის მაზრისათვის გორში. ამასთანავე საბჭო ატყობინებს მთავარ-მართებელს, რომ კრების მოწვევა მიენდობა თელავში თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილს, ხოლო გორში—თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილს; ხოლო თუ ესენი ვერ მოიცლიან, იმათ მაგიერ საქმე მიენდობა თავ. ა. რ. ვახვახიშვილს და გ. დ. ჟურულს.

◆ დღეს, 8 ოქტომბერ, **მოხდება კრება** სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა. კრება განაგრძობს იმ პროგრამის განხილვას, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებებს შეეხება.

◆ **დამატებითი არჩევნები** მეორე და მესამე ნაწილის ხმოსანთა ამოსარჩევად დანიშნულია 13 ოქტომბრისათვის ქალაქის საბჭოს დარბაზში. დილით კრება მოხდება მეორე საარჩევნო ნაწილისა, ხოლო საღამოთი—მესამე ნაწილისა.

◆ მიწათ-მოქმედების მინისტრი ბ-ნი ერმოლოვი და კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გოლიცინი **სადარბაზოდ იყვნენ** საქართველოს ეგზარხოსთან.

◆ **მთავარ-მართებელს თავ. გოლიცინს** ასი თუმანი გადაუცია ბოტანიკურ ბაღის გამგებელისათვის ხე-ხილის სანერგეში კარგის ჯიშის ნერგების მოსაშენებლად და 40 თუმანიც სანერგესათვის ღობის შემოსავლებად. საზღვარ-გარეთიდან კარგის ჯიშის ნერგების გამოსაწერად 40 თუმანი მიუცია.

◆ ტფილისში, როგორც ვუწყით, დაარსეს განსაკუთრებული **სკოლა ყრუ-მუნჯთათვის.** დღეს, 8 ოქტომბერს, აკურთხებენ ამ სკოლას. მოთავსებულია იგი რიყის ქუჩაზე, გაბაშვილის სახლში № 6.

◆ გუშინ-წინ ტფილისის **გუბერნატორმა სთხოვა ქალაქის გამგეობას** ცნობები ხმოსანთა არჩევანების შესახებ: ვინ დაესწრო არჩევნებს, ვინ არა და სხვ.

◆ კვირას, 6 ოქტომბერს, ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიის სადგომში, ქ-ნ ციტოვიჩის თავმჯდომარეობით, **მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოების კრება მოხდა.** კრებას უნდა განეხილა ქ-ნ ლოიკოს მოხსენება საზოგადოების წესდების შეცვლის შესახებ. ქ-ნი ლოიკო თხოულობს, საზოგადოების წევრებად მასწავლებელი და აღმზრდელი კაცებიც იქმნან ხოლმე მიღებულნი. საზოგადოებამ ეს მოხსენება მაისში განიხილა და 82 ხმის უმეტესობით მიიღო, მაგრამ საბოლოოდ საქმე ვერ გადაწყდა, რადგანაც ასეთის საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა საზოგადოების წევრთა ორი მესამედი მაინც. 6 ოქტომბრის კრებასაც არ დაესწრო საჭირო რიცხვი წევრებისა, ამიტომ თავმჯდომარის წინადადებით კრებამ გადასწყვიტა განიხილოს მოხსენება და მეორე ხელ-ახალი კრება დანიშნოს. შეუდგნენ მოხსენების კითხვას, რამაც ერთს საათზე მეტი გასტანა. მოხსენებაში საჭიროდ არის დანახული აგრეთვე საზოგადოების განყოფილებათა დაარსება მაზრებში, მოძრავ ბიბლიოთეკების გამართვა და სხვა. კამათმა ღამის 12 საათამდე გასტანა. პროექტის მოწინააღმდეგენი—ტხორჟევსკისა, ბრენერისა, ჯაბადარისა და სხვანი აცხადებდნენ, რომ ქ-ნ ლოიკოს მოხსენებაში აღნიშნული მოხსენებანი მხოლოდ თეორეტიულად გვეჩვენება ადვილად შესასრულებლად, თორემ პრაქტიკულად მათი განხორციელება ძნელიაო. ხანგრძლივის კამათის შემდეგ კრება ორის კვირით გადაიდო.

◆ მიწათ-მოქმედების მინისტრს, სხვათა შორის, **საქარის სანერგეც დაუთვალიერებია** ყვირილის ახლოს და მეტად კმაყოფილიც

დარჩენილა იქ ნანახით. ბ-ნ მინისტრს გამოუცხადებია სანერგეში მოსამსახურეთათვის, რომ სამინისტრომ გადასწყვიტა, სანერგე მევენახეობისა და მეღვინეობის სადგურად გადააკეთოს და ამისათვის საჭირო რიცხვი მოსამსახურეთა მოუმატოს, რომელთა სამსახური სახელმწიფო სამსახურად ჩაითვლებაო. ქობულეთშიაც ყოფილა ბ-ნი მინისტრი. ქობულეთლებს უთხოვნიათ, სახაზინო ადგილებიდან ცოტა ადგილი მოგვიჭერით, რომ ქობულეთის კეთილ-განწყობილებას ამითი ხელი შევუწყოთო. ბ-ნ მინისტრს ყურადღებით მოუსმენია სათხოვარი და დახმარებაც აღუთქვამს ამ საქმეში.

◆ ჩვენ შევიტყეთ, რომ ბორჯომის მამულების მმართველს გზათა მინისტრისათვის უთხოვნია, **ორთქლის მაგიერ ელექტრონის ძალა იხმარონ** სადგურ ბორჯომიდან სადგურ ბორჯომ-პარკამდე მიმავალ რკინის გზაზე. ეს სათხოვარი იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ეხლანდელი მიმოსვლა მეტად აწუხებს მეაგარაკეთ და არც უშიშარია. ბორჯომის მამული თვითონ ჰკისრულობს თურმე, რაც ელექტრონის ტრამვაის გამართვას ხარჯი მოუნდება და ამიტომაც ჩვენი რკინის გზების სამმართველო კიდეც შესდგომია ამ საგნის განხილვასა და განხორციელებას.

◆ პეტერბურგიდან ამბავი მოვიდა, რომ ჩვენი რკინის გზების მომავალ 1903 წლისათვის **ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა** დაუსრულებიათ.

◆ **ჯავახეთიდან გვწერენ**: წელს ჯავახეთში მშვენიერი მოსავალი იყო. თუმცა ამინდები კარგია, მაგრამ კალოობას ჯერ არ მორჩენილან.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ უკვე დაამთავრა დამატებით **ხარჯთ-აღრიცხვის** შედგენა ამა 1902 წლისათვის. დამატებითი ხარჯი ნავარაუდევია 19810 მან.

◆ ამას წინად დავბეჭდეთ, რომ ჩვენს **ქვეყანაში ჩრდილო ამერიკიდან** იქაურ მთავრობისაგან გამოგზავნილი აგრონომი ბოსსე ჩამოვიდა. ბ-ნ ბოსსეს თურქესტანის მხარეც მოუვლია და ჩვენს ქვეყანაში და იქაც 250-მდე სხვა-და-სხვა მცენარეთა ნერგი თუ თესლი შეუკრებია და გაუგზავნია ამერიკაში, იქ საცდელად და მოსაშენებლად, განსაკუთრებით კი ტეხასის შტატში, რომლის ჰავა-ნიადაგი უფრო შეეფერება ჩვენებურს. მცენარეთა შორის გაუტანია სხვა-და-სხვა ხე-ხილები, ბალახის ჯიში და ერთი ვაგონი ბამბის თესლი. ბ-ნი ბოსსე ამ დღეებში გერმანიას გაემგზავრება.

◆ ჩვენ მკითხველებს ამას წინად ვაცნობეთ კავკასიის გზის მოიჯარადრის იბრაჰიმ-ბეგის ქვრივის ადმინისტრაციის მიერ შემოღებული წეს-წყობილების მაგალითები—როგორ ეპყრობიან მუშებს და წვრილ მოსამსახურეებს ამ გზაზე. ქეზრად მოსამსახურე დავით ლაზარევი ძალაუნებურად უნდა სასამართლოში მისულიყო, რომ მოიჯარადრეზე დარჩენილი ოთხი თვის ნამსახური 7 მან. და 83 კაპ. მიესაჯა იმისთვის. პირველ ნაწილის მომრიგებელ-მოსამართლემ გუშინ გაარჩია ლაზარევის სარჩელი. მოპასუხე არ გამოცხადებულა. ტფილისის სადგურს არც-კი მიუღია სასამართლოსაგან გაგზავნილი უწყება. სასამართლომ საბოლოო განაჩენით ლაზარევის სარჩელი შეიწყნარა.

◆ გოლოვინის პროსპექტზე, თეატრის პირდაპირ გაიხსნა სურათებიანი ღია-წერილის ბლანკების გამოფენა. ერთ მილიონამდე სხვა-და-სხვა ბლანკია, რომელთა შორის ზოგიერთი ევროპის გამოჩენილ მხატვრების ნახატებიდან არის გადაღებული. მაგ. შეჰხვდებით ნახატებს მიეხისას, კარანდაშისას, ლებოვისას, ბონეტისას, მორინისას, ჟირალდონისას და სხვ. ბევრი სურათთაგანი აკვარელით არის გაკეთებული. სხვა-და-სხვა ხასიათის სიუჟეტები: სახუმარო, საპოლიტიკო, საისტორიო და სხვ. წარმოადგენს ინტერესს. ევროპაში და ამერიკაში ბევრი ვრცელდება ამ გვარი წერილები. მხატვრებს, რომელთაც წინად ცხოვრება უჭირდათ, ახლა გამოუჩნდათ ეს საქმე. ხშირად კონკურსიც კი ინიშნება საუკეთესო სურათისათვის. უკანასკნელ კონკურსში დიდი პრემია მიიღო ცნობილმა მხატვარმა ჟილბერმა, რომელმაც შეადგინა სახუმარო რუკა ევროპისა. ეს ბლანკები ახლა აღარც-კი იშოვება, რადგან მეორე გამოცემა აკრძალეს.

◆ კვირას, 6 ოქტომბერს, დასაფლავეს აზიურ-იარაღის ხელოსანთა უსტაბაში ხარუხანოვი. დასაფლავებას, ხელოსანთა მოურავის ბ-ნ რაფაელოვის განკარგულებით, დაესწრნენ ხელოსანნი, მათი უსტაბაშნი და დეპუტატნი თავიანთი ბაირაღებითა და სხ. ნიშნებით. ეს განკარგულება ამ ერთ შემთხვევას არ შეეხებოდა მარტო: ხელოსანთა მოურავმა გამოაცხადა, რომ კვლავაც ხელოსანნი და მათი უსტაბაშნი მოვალენი იქნებიან თვის ამხანაგთ პატივი სცენ და დაესწრნენ ხოლმე უსტაბაშთა დასაფლავებასო. ეს განკარგულება დიდის სიამოვნებით მიიღეს ხელოსანთა უსტაბაშებმა. დღეს ხელოსანთა უმეტესი ნაწილი გაურბის ხოლმე უსტაბაშობას, რადგან შრომასთან ერთად არავითარ ჯილდოს არ იღებენ; ამ გვარ განკარგულებებით რაფაელოვმა თუ საპატიო გახადა ეს ადგილი, მაშინ სამსახურის სურვილსაც გამოაცხადებენ ბევრნი და მეტს მხნეობასა და უნარსაც გამოიჩენენ.

◆ გოგაშნის სამრევლო სკოლის გამგე მღვ. გ. კარბელაშვილი გვთხოვს დავბეჭდოთ: „თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმეს მადლობას ვუცხადებ ახალციხის მაზრის სოფ. ოშორის მემამულეს ბ-ნ ჰამიდ ბეგ ავალიშვილს, რომელმაც 120 მანეთის ხის მასალა შესწირა ჩემდამო რწმუნებულ სკოლას“.

◆ კვირა დამეს, გოლოვინის პროსპექტზე, ორბელიანის სახლში, მეფერტის მაღაზიაში მთელი ჭერი ჩამოქცეულა და მაღაზიის ნივთები მთლად გაუფუჭებია. გუშინ პოლიციამ და ტეხნიკოსმა დაათვალიერეს ჩამოქცეული მაღაზია და პატრონი დაითხოვეს იქიდან, რადგან იქ ყოფნა საშიში არისო.

◆ კვირას, 6 ოქტომბერს, პოლიციის მე-10 ნაწილში, ანდრეევისა და გორის ქუჩების შესართავთან ცეცხლი გაუჩნდა ხანდამიროვის 2 სართულიან სახლს. ცეცხლის მქრობელმა რაზმმა რამდენისამე საათის ბრძოლის შემდეგ ცეცხლი ჩააქრო. ხანდამიროვის სახლი დაზღვეული ყოფილა 12.000 მანეთად. ზარალი დიდი მოუვიდა როგორც სახლის პატრონს, ისე მდგმურებს.

◆ ელისაბედის ქუჩაზე მცხოვრებს ელისაბედ ჩხეიძისას „ქარ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისი“ სასარგებლოდ ფულის შესაკრებად ჰქონია ყულაბი. პარასკევს, 4 ოქტომბერს, ჩხეიძის შინ არ ყოფნის დროს, მის მოსამსახურეს ვასილ გორიაინოვს, გაუხსნია ყულაბი და 200 მანეთზე მეტი წაუღია. პოლიციამ დააპატიმრა გორიაინოვი, რომელმაც განაცხადა, 100 მან. საროსკიპო სახლში შევჭამე, ხოლო მეორე ასი მანეთი იქავე ვიღაცამ ამომაცალა ჯიბიდანაო. დამნაშავე პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

◆ შაბათს, 5 ოქტომბერს, პოლიციის მე-10 ნაწილში პოლიციელმა ნახა ქუჩაზე მიგდებული 2 კვირის ბავშვი მდედრობითის სქესისა. ჰნახეს იქვე სადარბაზო ბარათი ზედ-წარწერით: „ვასილ ივანეს ძე ზალცევსკი“. ბარათის მეორე გვერდზე სწერია: გთხოვთ გარდასცეთ ბავშვი მის უსინდისო მამასაო.

◆ ვერის დაღმართზე შაბათს, 5 ოქტომბერს, ცხენის რკინის გზის ვაგონი № 47 დასტაკებია დუშეთის მაზრის მცხოვრებს ალექსი ცოგოშვილის ურემს, ერთი ხარი ქვეშ მოუტანებია და იქვე გაუსრესია. დამნაშავენი პასუხის გებაში იქმნებიან მიცემულნი.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრად ამორჩეული დ. ბ. მდივანი გუბერნატორმა არ დაამტკიცა ამ თანამდებობაზე, რის გამო ქალაქის საბჭო და გამგეობა მეტის-მეტს უხერხულს მდგომარეობაშია ჩაყენებული: თითქმის ერთი წელიწადია, ქალაქის გამგეობას ერთის წევრის მეტი არა ჰყავს, რის გამო ქალაქის საქმეები რიგიანად ვერ მიდის—მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ამ მოკლე ხანში ქალაქის მოურავი რუსეთს მიემგზავრება ქუთაისში რკინის გზის გაყვანის შესახებ საშუამდგომლოდ, ასე რომ—ქალაქის მოურავისა და ორის წევრის მაგიერ ერთმა წევრმა უნდა განაგოს საქმეები, რაც ყოვლად შეუძლებელია. საბჭოს უნდა მოურავის წასვლამდის ამოირჩიოს მეორე წევრი; ასახელებენ კანდიდატებად: ი. თ. ბაქრაძეს, რომელიც ამას წინადაც იყო ამ თანამდებობაზე არჩეული, გ. ლ. ქორქაშვილს (ექიმს) და კ. დ. ბაქრაძეს.

◆ პარასკევ დამეს, 4 ოქტომბერს, ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი შესულან ქალაქის საზოგადო წიგნთსაცავში და ამოუღიათ ყუთიდან 152 მანეთი. ქურდობა რაღაც საიდუმლოებითაა მოცული: არც კარები და არც ფანჯრები ღია არ ყოფილა მეორე დილას. ეჭვი წიგნთ-საცავ-სამკითხველოს მოსამსახურეებზე შეიტანეს. გამოძიება სწარმოებს.

რუსეთის ქრონიკა

◆ 2 ოქტომბერს 75 წელიწადი შეუსრულდა ცნობილ მხატვარს ზიჩის. ამ მხატვარს ჩვენშიაც კარგად იცნობენ, რადგანაც „ვეფხისტყაოსნის“ სურათები იმისი დახატულია. ზიჩი თუმცა უნგრელია, მაგრამ დიდი ხანია რუსეთში სცხოვრობს. იგი უმაღლესის კარის მხატვრად ითვლება და დაჯილდოებულია აკადემიკოსის ხარისხით. ზიჩის საუკეთესო სურათებად ისინი ითვლება, რომელიც ლერმონტოვის პოემის „დემონი“-სათვის დახატა. ამაში უფრო ცნობილია „ცეკვა თამარისა“ და „სიკვდილი თამარისა“. 2 ოქტომბერსავე 60 წელიწადი შესრულდა, რაც ზიჩი სამხატვრო ასპარეზზე იღვწის.

◆ როგორც ვუწყით, საერო განათლების სამინისტრომ შეიმუშავა პროგრამა გაკვეთილებისა საშუალო სკოლებში. სამინისტროს გადაუწყვეტია, ეს გეგმა მომავალ სამოსწავლო წლიდან შემოიღოს.

◆ მოსკოვში პროფ. ვ. ღ. შერვინსკის მეცადინეობით, არსდება ჭლექის წინააღმდეგ მებრძოლთა ლიგა. წესდება უკვე შეუმუშავებიათ და მალე მთავრობას წარედგინება დასამტკიცებლად.

◆ როგორც ოდესის ოფიციალურ გაზეთის ცნობებიდანა სჩანს, 28 მაისიდან 27 სექტემბრამდე შავის ჭირის მაგვარ საეჭვო ავადმყოფობით ამ ქალაქში ავად გამხდარა სულ 45 კაცი. აქედან 14 კაცი მომკვდარა.

◆ „პეტერბურგ. ვედომოსტ.“-ში საყურადღებო სტატისტიკური ცნობებია დაბეჭდილი უნივერსიტეტების შესახებ. როგორც ამ ცნობებიდანა სჩანს, რუსეთის უნივერსიტეტებში 1892 წელს სულ 11,589 კაცი სწავლობდა. 1901 წელს ეს რიცხვი 16,631 კაცამდე ავიდა. ფაკულტეტებად ეს სტუდენტობა ასე იყო განაწილებული 1901 წელს:

ისტ.-ფილ. ფაკულტეტ. .	917	კაცი.
მათემატიკა	1645	„
საბუნების-მეტყველო . .	2165	„
იურიდიულზე	6,727	„
სამკურნალოზე	4,387	„
აღმოსავლეთისაზე. . . .	253	„
სღვთის-მეტყველ (იურიევშია)	140	„

ათის წლის განმავლობაში (1892—1902 წ.) რუსეთის უნივერსიტეტები გაათავეს:

ისტ.—ფილ. ფაკ. . . .	1,079	კაცმა
მათემატ.	1,542	„
იურიდიული.	2,107	„
სამკურნალო	8,154	„
აღმოსავლეთისა.	180	„
სღვთის-მეტყველო . . .	269	„

სულ ამ რიგად უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში 22,271 კაცს გაუთავებია უნივერსიტეტი.

პრესსა

კვირის №-ში „ივერიამ“ ლიტერატურაში ყოვლად შეუწყნარებელი პოლემიკური წერილი დაჰბეჭდა ჩვენს წინააღმდეგ. რასაკვირველია, ჩვენ არ ვიკადრებთ, არსებითად შევეხოთ ამ წერილს „ივერიისას“; აქ გადმოვბეჭდავთ მას შეუმოკლებლად და, დეე, თვით მკითხველებმა დააფასონ. დარწმუნებულნი ვართ, რომ განმარტება საჭირო არ არის და მკითხველი საზოგადოება თვითონ გაიგებს შესაწყნარებელია თუ არა ასეთი წერილი.

„ცნობის ფურცელმა“ ამ უკანასკნელს დროს, რაკი საფანელი შემოაკლდა, დავთარი გაიჩინა და ამ დავთარს „პატარა დღიური“ დაარქვა. რასაკვირველია, „ფოდრაჩიკის“ გაზეთს ამგვარი დავთარი შეჰფერის და, დაე, თავში ქვა იხალოს და რამდენიც უნდა სჩხაბნოს ამ დავთარში, თავის „ალის“ სასიამოვნოდ, ბ-ნმა Spectator-მა.

ჩვენ მხოლოდ ის გვაკვირვებს, რომ „ფოდრაჩიკის“ ერთგული პრიკაშჩიკი ასეთის გაწიწმატებით გადმოსწვდა „ცნ. ფურცლის“ გუშინდელს ნომერში გაზ. „ივერიას“. ცხენს ვერა დააკლესრა და უნაგირსა სწვდნენო, სწორედ ეს არის. თუ ს. ქვარიანის წერილი, რომელიც ჩვენს გაზეთში იბეჭდება კ. აბაშიძის პასუხად, არ მოსწონს ბ-ნს Spectator-ს, „ივერია“ აქ რა შუაშია?! „ივერიას“ თავის მოვალეობად მიაჩნია მისცეს ღონისძიება ყველას საზოგადო საქმის გამო გამოსთქვან თავიანთი შეხედულობა და ამ აზრით უთმობს ადგილს ისეთს წერილებსაც, რომელსაც იქნება თვითონაც არ თანაუგრძნობს. მით უმეტეს „ივერია“ მოვალე იყო დაებეჭდა ს. ქვარიანის პასუხი, რომ ბ-ნმა კ. აბაშიძემ ქვარიანს თავის წერილში თავზე ხელი არ წაუსვა და ტკბილად არ მოიხსენია. საზოგადოდ, შავის ქვის საქმე ჭიათურაში ისეთი დიდი საქმეა, რომ მის შესახებ წერილების ბეჭვდა, თუნდა ეს წერილები საპოლემიკო ხასიათისაც იყოს, გაზეთს ვერ დაამცირებს. აგრე რომ იყოს, „Вѣст. горн. дѣла и орошенія“-ს უკანასკნელს ნომერში ვრცელი საბრალმდებლო ხასიათის წერილი არ იქნებოდა დაბეჭდილი *). ეს გაზეთი ხომ სპეციალისტების ხელშია და იმათ კარგად იციან შავის-ქვის საქმის მდგომარეობა! ჩენგერი ხომ კიდეც თავმჯდომარეობდა შავის-ქვის მრეწველთა კრებას შარშან!..

ჩვენ ამით ის არ გვინდა ვსთქვათ, რომ, რაკი ქვარიანი ჰკიცხავს თავის წერილებში ბ-ნს ზდანოვიჩსა და კ. აბაშიძეს, უთუოდ პირველი მართალია და უკანასკნელი მტყუანნი და დამნაშავენიო. მოვითმინოთ, მოვისმინოთ იმათი სიტყვაც, ვისაც ქვარიანი ბრალსა სდებს. ქვარიანსაც მძიმე ბრალი დასდეს და კაცი სცდილობს თავი გაიმართლოს. „ცნ. ფურ.“-ს ის უბრალო ჭეშმარიტებაც-კი არ ესმის, რომ ერთს რომ მოუსმინე, მეორესაც უნდა მოუსმინო.

თუ ქვარიანი მართლა მხოლოდ „როშავს და ჰბოდავს“, როგორც „ცნ. ფურ.“-ი ამბობს, მაშ, რად უბეჭდავდა თვით „ცნ. ფურცელი“ ამისთანა მროშველს ვრცელს წერილებს ფელეტონებად სასოფლო მეურნეობის შესახებ და აგრეთვე შავი-ქვის საქმის შესახებაც ამ რამდენისამე ხნის წინად?

არა, „ფოდრაჩიკის“ გაზეთს აქ სხვა მუცლის ტკივილი ალაპარაკებს. საქმე ის არის, რომ ქვარიანის წერილს, რომელიც „ივერიის“ 211 ნომერში იყო დაბეჭდილი, ძალიან გაუწიწმატებია „ცნობის ფურცელი“ იმიტომ-კი არა, რომ კ. აბაშიძესა და გ. ზდანოვიჩს ეხება, არამედ იმიტომ, რომ თვით „ცნობის ფურ“. და მის სულის ჩამდგმელს მოახვედრა მწარე მათრახები ქვარიანმა თავის უკანასკნელს წერილში. თუ ეს ასე არ იყოს, რატომ აქამდე არ ამოიღო ხმა „ცნ. ფურცელმა“ ზდანოვიჩის გამოსაქომაგებლად?! რა დასაჯერია, რომ „ფოდრაჩიკის“ გაზეთმა თვისის ნოქრების „შტატით“ თავი გაიცხელოს ზდანოვიჩისა და აბაშიძისათვის?! ან რა ზნეობრივი კავშირია „ცნობის ფურცლის“ რედაქტორსა და ბ-ნ ზდანოვიჩს შორის?! არაფერი, გარდა ამისა, რომ ამ გაზეთს, არამც თუ ფული, ფულის სუნიც-კი ისე უყვარს, რომ საიდანაც-კი ეს სუნი მიედინება, მაშინვე იქით იზამს პირს, იყნოსავს და თან ლოცულობს, რომ იქნება როგორმე მეც მომეცხოს რამეო.

განა ფულის სუნმა არ დაუბნია დავთარი ქალაქის არჩევნების საქმეში „ცნობის ფურცელს“ და ძმობისა და ერთობის ლათაიები არ ათქმევინა?! განა ფულის სუნმა დასავლეთისაკენ-კი არ აქნევინა პირი „ცნობ. ფურცელს“? როგორ არა, იქაც, კოლხიდისკენ საკმაოდ იყნოსა ფულის სუნი „ფოდრაჩიკ-რედაქტორმა“ და მისმა ღირსეულმა პრიკაშჩიკმა და კიდევაც იმედი აქვთ ყნოსვისა. ეს იმედი რომ არა ჰქონდეთ, მალე წიხლსა ჰკრავენ ზდანოვიჩსაც, რომლის ადვოკატობასაც სწევენ ახლა, და სხვასაც, როგორც წიხლი ჰკრეს არა ერთსა და ორს ღირსეულს ქართველს კაცს „ცნობ. ფურცლის“ სულის ჩამდგმელებმა. მოიგონეთ, მკითხველო, მეთაური წერილები ამ გაზეთისა სათავად-აზნაურო სკოლასა და შენობაზე და აგრეთვე წერილი ვ. აბულაძის შესახებ.

რაიცა შეეხება იმას, რომ ვითომ „ივერიას“ ნაკლებადა აქვს მასალა და იმიტომ ჰბეჭდავს ქვარიანის წერილებსაო, და ამის შემდეგ სხვა ჭორებს მოაყოლებსო, ამაზე ჩვენ არას ვიტყვით. ეგ მკითხველმა განსაჯოს და დააფასოს, რა მასალა იბეჭდება „ივერიაში“. ეს-კი აშკარაა, რომ ეგ მასალა „ცნ. ფურცელს“ არაფრად ეპიტნავება და ისე სძულს, როგორც მავნეს საკმელი.

იცოდეს „ივერიამ“, რომ ამიერიდან ჩვენ ასეთს პოლემიკურს მარგალიტებს არავითარ ყურადღებას არ მივაქცევთ.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. კვირას დილით ქართ. დრამ. საზოგ. გამგეობამ პირველი იაფფასიანი წარმოდგენა გამართა ამ სეზონში. წარმოადგინეს ცნობილი მელოდრამა „ორი ობოლი“. თუმცა ეს პიესა არა ერთხელ და ორჯელ წარმოუდგენიათ, მაგრამ ხალხი კვირას მაინც საკმაოდ დაესწრო. არას ვიტყვით ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისაზე, რომელიც, რაღა თქმა უნდა, კარგად ჩაატარებდა ფროშარის როლს. დანარჩენ როლებს თითქმის სულ ახალგაზრდები ასრულებდნენ და იმათდა სასარგებლოდ უნდა ვთქვათ, რომ თავი ისახელეს. ეტყობა, ცდიდან და რეჟისორისაც მეცადინეობა არ მოუკლია. მთავარი როლები ასე იყო განაწილებული: ჰენრიეტა—კარგარეთელი, ლუიზა—ლეჟავა და პიერ—ჟღენტი. სამივეს თამაშობას დაკვირვება და მეცადინეობა ეტყობოდა. კერძოდ ლეჟავამ გრძნობით ჩაატარა უსინათლო ქალის როლი. სასიამოვნოა, რომ ეს ახალგაზდა ქალი, რაც დრო და ხანი გადის, მეტ ნიჭსა და უნარს იჩენს. ბ-ნ ჟღენტს პირველად ვხედავთ ქართულ სცენაზედ. თუ ახალგაზრდობის და გამოუცდელობის სათვალავში ჩავაგდებთ, იმის თამაშობას არა უჭირდა-რა.

Дозв. ценз. Тифлисъ, 7 Октября, 1902 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ-ნი ჟღენტი სასარგებლო მსახიობი დადგება ქართულ თეატრისათვის, საჭიროა მხოლოდ გამოცდილთა ხელმძღვანელობით მეცადინეობა. ვნახოთ სხვა როლებს როგორ შეასრულებს.

სახალხო წარმოდგენა. შაბათს, 5 ოქტომბერს, სახალხო თეატრში სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს დ. კლდიაშვილის პიესა „ირინეს ბედნიერება“. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა კონცერტი. წარმოდგენამ ვერ ჩაიარა კარგად, რადგან სცენის მოყვარეთა უმრავლესობამ როლები არ იცოდა. სამაგიეროდ კონცერტი იმდენად შინაარსიანი იყო და ლექსები და სცენებიც ისე მოხდენილად წაიკითხეს, რომ ხალხი აღტაცებაში მოვიდა. შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია 12 ოქტომბრისათვის.

არტისტიულ საზოგადოების თეატრში კრასთვის დასმა წარმოადგინა თ. სუმბათაშვილის 4 მოქმედებიანი დრამა „ბორკილი“. დასი თანდათან იჩენს თავის ძალას. საუცხოვო ანსამბლით ჩაატარეს მთელი ოთხი მოქმედება. განსაკუთრებით ქ. ქ. მატელენისა (ნინა გოლინცევისა), გონდატისა (ნიუტა) და ბოგუჩაროვისა (ოლგა ნიკოლაევნა) და ბ. სმირნოვი შეუდარებელნი იყვნენ თავიანთ როლებში. მესამე მოქმედებაში, ნიუტასი და ნინა ალექსანდროვნას (დედა-შვილი) შეხვედრის სცენამ გამოიწვია თეატრში ერთგვარი ხმაურობა, რომელიც ცხადად ამტკიცებდა, რომ ამ დრამატიული სცენის ხელოვნურად ასრულებამ ბევრი შეაკრთო. თვალ-ცრემლიანებიც ბევრნი იყვნენ. დასში ერთი არტისტი ჰყავთ, უგრიუმოვი, რომელიც ჯერ არც ერთ როლში არ გამომდგარა

წერილი ბათუმიდან

ბათუმის ქალაქის საბჭოს უკანასკნელ[illegible]ბა, რომელიც 30 სექტემბერს მოხდა, სამწუხაროდ გათავდა. საბჭოს დარბაზში, ლაპარაკის დროს, უეცრად გარდაიცვალა ხმოსანი ლევან მჭედლიშვილი. განსვენებულმა ის იყო სიტყვა დაათავა იმ განცხადების შესახებ, რომელიც შემოიტანა გამგეობაში ერთ კაცს, გამგეობაში მოსამსახურედ ნამყოფს. ეს კაცი სხვაგან გადასულა, სადაც ათიათას მანეთს ჯამაგირს აძლევენ, მაგრამ ამისდა მიუხედავად იგი მაინც თხოულობდა ათისწლის სამსახურისათვის დაჯილდოებას ქალაქისაგან. განსვენებულმა ლევან მჭედლიშვილმა იუცხოვა ასეთი განცხადება, გამოსთქვა ის აზრი, რომ მთხოვნელმა ძრიელ კარგად იცის ქალაქის მდგომარეობა და რა-კი ღმერთმა უწყალობა კარგი ადგილი, არ დაგვემდურება, თუ უარს ვეტყვით. ეს სთქვა, დაჯდა და იქვე სული განუტევა. მოსცვივდნენ ექიმები, მაგრამ გვიანღა იყო. განსვენებული ბოლოს დროს ავად იყო და, ცოტაოდნად უკეთ შეიქმნა თუ არა, ისევ შეუდგა მოვალეობის ასრულებას, ვითარცა ხმოსანი.

განსვენებული ლევან მჭედლიშვილი ერთ დროს დიდ მონაწილეობას იღებდა ქართულ პრესაში. იგი სერგეი მესხს ბათუმში კორრესპონდენტად ჰყავდა ბათუმის შემოერთების პირველ დღიდანვე და ბევრ ცნობასაც აწვდიდა „დროებას“; ხანდახან „ივერია“-შიაც იბეჭდებოდა მისი წერილები და საზოგადოდ დიდის ყურადღებით ადევნებდა თვალს ჩვენს პრესსას. ერთ ხანად განსვენებულთან ალ. ყაზბეგი სცხოვრობდა.

განსვენებული ჯერ 55 წლისაც არ იქნებოდა. ბათუმელთათვის მისი დაკარგვა დიდი ნაკლი იქნება.

დაბა-სოფლები

ყანდაურა (გარეთ კახეთი). ოცი წელიწადი მეტი იქნება, რაც ამ სოფელში არსებობს ერთ კლასიანი სამინისტრო სკოლა, რომელმაც ბევრი სიკეთე მოუტანა სოფელს. თუმც დღესაც არიან ისეთნი, რომელთაც სწავლა არაფრად მიაჩნიათ, მაგრამ უმეტესობამ მაინც სწავლის მნიშვნელობა შეიგნო და ზიზღით იხსენებენ იმ დროს, როდესაც ერთის მწერლის მეტი არ მოიძებნებოდა მთელს სოფელში წერა-კითხვის მცოდნე. უბრალო წერილის ან უწყების წასაკითხად მწერლისთვის უნდა მიემართნათ. ხშირად მომხდარა, რომ სოფლის მიერ დაქირავებული მწერალი უბრალო ქაღალდის დაწერისათვის ზედ მეტსასყიდელს იღებდა. საზოგადოდ ჩვენი კუთხე სწავლა განათლებით ჩამორჩენილია. სკოლა სანთლით საძებნია თითქმის. ჩვენს მახლობლად ერთი დიდი სოფელია, ჯიმითი, სადაც დღემდე სკოლა არ მოიპოვება. აწ გარდაცვალებულმა ბლაღოჩინმა იოსებ შიშნიევმა ბევრი შრომა და ღვაწლი დასდო, რომ ამ სოფელში სკოლა დაეარსებინა, და სახლიც დაუთმო ხალხს დროებით სკოლისათვის, მაგრამ ამაოდ ჩაიარა იმისმა შრომამ. ეხლა ახალგაზდა ბლაღოჩინი გვყავს და, იმედია, ესეც არ დაიშურებს შრომას.

აქაური მცხოვრებნი მეტად შევიწროებულნი არიან სოფლის უვარგის მოსამართლეებისაგან. მე თვითონ შემთხვევით დავესწარი სოფლის კანცელარიაში რამდენისამე საქმის გამოძიებას. როდესაც ბოქაულმა ჰკითხა მოსამართლეებს ერთის საქმის შესახებ, ეგრე უსამართლოდ რად გადაწყვიტეთო, იმათ მიუგეს: „აბა, რა ვიცით, შენი ჭირიმე! ეგრე-კი გადავწყვიტეთ და!“

აქეთ წელს კარგი მოსავალი იყო და შარშანდელ მოუსავლობით გულ-ნატკენ ხალხის სიხარულს საზღვარი არა აქვს. **მიხაკო.**

უცხოეთის წვრილი ამბები

ცხენის ყიდვაშიაც ძალიან მოსტყუვდება ეხლანდელ დროს კაცი, თუ მეტი დაკვირვება არ იხმარა. ქალაქ რიგაში ცხენების ბაზარი ყოფილა გამართული. ადგილობრივი გაზეთი „რიჟსკი ვესტნიკი“ ერთ ახირებულ ამბავს მოგვითხრობს: ბაზარში გამოსულა ერთი ადგილობრივი მემამულე ვინმე ზ., ცხენის ყიდვა სდომებია; თან ცხენის მცოდნეც წამოუყვანია, რომ კარგი ცხენი აერჩიათ. მემამულეს ერთი ლიტოველის ცხენი მოსწონებია, კარგად დაუთვალიერებია და კბილებიც გულ-დასმით გაუსინჯავთ, რომ ცხენის წლოვანობა შეეტყოთ. ცხენი ექვსის წლისად უცვნია მყიდველს და პატრონისათვის ოცდა რვა თუმან ნახევარი მიუცია. მყიდველს ცხენი სახლში მიუყვანია და რამდენსამე დღის შემდეგ მაგარი საჭმელის ჭამისათვის თავი დაუნებებია ცხენს. როცა გამოიკვლიეს, აღმოჩნდა რომ ცხენს კბილები ერთიანად დასცვენოდა. თურმე კბილები ჩასმული ჰქონოდა ცხენს.

შავ-ჭირთან ბრძოლა. ინდოეთის მხარე ბუდეა შავი-ჭირისა. ადგილობრივი მთავრობა დიდს ცდაშია ამ სენს როგორმე ბოლო მოუღოს, მაგრამ ჭირი მაინც თავისს ძალას იჩენს მუდამ წელს. ახლა მთავრობას გადაუწყვეტია, ამ ჭირის საწინაალმდეგო სითხე აუცრას, რაც შეიძლება მეტ მცხოვრებელს, რადგან გამოცდილებამ აღმოაჩინა, რომ ამ სითხით აცრა ერთად-ერთი საშუალება ყოფილა შავ-ჭირთან საბრძოლველად. მომავალის ხუთის თვის განმავლობაში უნდა აუცრან თურმე შვიდ მილიონ მცხოვრებს. ბომბეის ლაბორატორიას ბრძანება მისვლია, მუდამ დღე 50 ათას კაცისათვის საკმაო სითხე დაამზადეთო. ლაბორატორიის გამგე დოქტორი ბაკერმანი ამ ბრძანების ასრულებას შესდგომია კიდეც.

ხუმრობა საქმეა შვიდ მილიონ ხალხს ხუთ თვეში სითხე აუცრან! მაგრამ ინგლისის მთავრობა უკან არ დგება ამ ხარჯისაგან...

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 ოქტომბერი

სარატოვი. სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე კამიშინსკის საერობო გამგეობასა, რომელსაც ბრალდებოდა 23 ათასი მანეთის გაფლანგვა. გამგეობის წევრს რეიხს და ბუჰჰალტერს ნიკიტინის არესტანტსკი როტაში გაგზავნა მიუსაჯა პალატამ. ერობას ფული მიუსაჯა.

მოსკოვი. სტუდენტთა სასტრითო-სათვიდოლოკო საზოგადოება გაიხსნა. საზოგადოების საგანია—სტუდენტები და პროფესორები ერთმანეთში დააკავშიროს სამეცნიერო კვლევა-ძიების ნიადაგზე.

სოფია. ამბავი მოვიდა, ცონჩევს აჯანყებულთა ბანაკში სიტყვა წარმოუთქვამს, აქებდა იმათ მოქმედებას და მოთმინებას ურჩევდა. ოსმალებმა კრესნის მთებში გასავალი დაიჭირეს და სტრუმას ღელე ეხლა იმათ გავლენის ქვეშ იქნება. აჯანყებულნი ვერ შესძლებენ ადგილები შეირჩიონ.

ნიუ-იორკი. ვენეცუელის კონსულმა დეპეშა მიიღო კარაკასიდან კარდენასის სეკრეტარისაგან, რომ კასტრო იტყობინება, შვიდი დღის ძლიერის შეტაკების შემდეგ სრულებით გავიმარჯვეთო. აჯანყებულთ სამი ათასი კაცი დაჰკარგვია.

ბერლინი. დეპეშით ამბავი მოვიდა, გონაივო უთუოდ დაუჭერია გაიტის მთავრობის ჯარებს. გერმანიისა, ამერიკისა და საფრანგეთის ჯარებმა ხელი შეუშალეს ძარცვას. გერმანიის საკონსულოში გონაივს შვიდასამდე გამოქცეულია თავმოყრილი და ადმირალ კილიკის ოჯახობაც იქ არის.

პეკინი. იმპერატორმა საზაფხულო სასახლეში მიიღო ყველა საელჩოში მოსამსახურენი და ყველა საელჩოს დამცველ ჯარების უფროსი. ინგლისის ელჩი არ მისულა, უარი განაცხადა ამაზე, იმიტომ რომ ჩინეთის სასახლესთან გარეშე სამსახურისა არავითარი კავშირი არა მაქვს, რადგან უკანონობა ჩაიდინეს მისიონერების ბოუსისა და ლიუსის მოკვლის საქმეში, როდესაც დამნაშავე მოხელენი განთავისუფლეს და რამდენიმე უდანაშაულო კაცი კი სიკვდილით დასაჯესო.

ლონდონი. „სენ-ჯემ გაზეტ“-ი იუწყება, რომ სახელმწიფოების მიწერილობაზე ბულგარიამ მიუგო, ყოველს საშუალებას ვიხმართ, მაკედონიაში სიმშვიდე არ დაირღვესო.

ადენი. ბრიტანიის ჯარი შეეტაკა „გიჟ მოლას“ სომალის ადგილებში; მაიორი ფილიპი და კაპიტანი აგნესი მოკლულია, პოლკოვნიკი კობი დაიჭრა.

სოფია. ბულგარიის მთავრობა არა თუ უშლის შეიარაღებულ რაზმებს მაკედონიაში შესვლას, ოსმალეთიდან გადმოსახლებულთაც არ უშვებს ბულგარიაში. მცხოვრებლებმა ამაზე წინააღმდეგობა გამოაცხადა.

— დანამდვილებით შევიტყეთ, რომ გენერალმა ცონჩევმა კრესნას ბანაკში მეტად კატაცებული სიტყვა წარმოსთქვა.

— ბულგარიის ცნობებიდან იტყობინებიან, რომ კუსტენდილიდან პალანკისაკენ ზარბაზნების სროლა მოისმოდათ. პალანკა არ არის გადამწვარი. ამბობენ, ოსმალებს პირინ-პლანინა უნდოდათ დაეჭირათ. ჯუმაის მხარეს კიდევ ხდება ძლიერი შეტაკება. მცხოვრებლები ბულგარიისა მეტად აღელვებულია: მიტინგები იმართება, ფულებს აგროვებენ. ოსმალეთი საზღვრებზე ჯარებს უმატებს.

ოდესა. დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის, ოლქის ჯარების უფროსისა, გრადონაჩალნიკისა და სხვათა თანადასწრებით ყოვლად სამღვდელომ იუსტინემ აკურთხა ეკკლესია და კადეტის კორპუსის სახლი. კურთხევის შემდეგ დალიეს სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა. ახალი შენობა ღირს 1,600,000 მან.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთის მთავრობამ სასტიკათ აღუკრძალა ადგილობრივ გაზეთებს წერა მაკედონელთა მოძრაობის შესახებ.

თანახმად გუშინდელი ოფიციალური ცნობისა, ამ ათი დღის წინად ბოლგარიის მეამბოხეთ, რომელნიც რაზლოგსა და ჯუმნას ახლო გაჩნდნენ, მიჰკის მთებში დაიჭირეს სიმაგრეები.

ოსმალეთის სერასკი ჯარი იბრაჰიმ ფაშის მეთაურობით გარს შემოერტყა იმათ. ზოგნი დახოცეს, ზოგნი გაიქცნენ, ზოგნიც დააპატიმრეს. სინანულში ჩავარდნილმა მცხოვრებლებმა პატიება ითხოვეს და გადასცეს იარაღი. სულთანმა ყველას აპატია და ურჩია შინ დაბრუნება. წესიერება აღდგენილია. ეს ცნობები ნამდვილია.

ხარკოვი. მაზრის საერობო კრებამ დაადგინა გამოუცხადოს სოფლის საზოგადოებათ, რომ მაზრის ერობა მიუდგება ნახევარ ხარჯში იმ საზოგადოებათ, რომელნიც მოიწადინებენ ღარიბ უმწეოთა და ობოლთა თავ-შესაფარის გამართვას.—მომავალ წლის სმეტა 310,000 მან.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე აძრულია თხოვნა შესახებ იმისა, რომ მოეწყოს დაზღვეულის გადაზღვევა ერთი-ერთმანეთთან საერო და საქალაქო საურთიერთო დაზღვევის საზოგადოებათა შორის.

„ნოვოსტები“ იუწყებიან, რომ საერო განათლების სამინისტრომ გადასწყვიტა, შეიმუშავოს პროექტი შესახებ სკოლების გამრავლებისა რუსეთის განაპირა ადგილებში მცხოვრებს უცხო ხალხთა შორის.

სამიწათ-მოქმედო სამინისტრომ გადასწყვიტა, შეიმუშაოს ხელ-საყრელი პირობანი კავკასიაში მიწების შესაძენად და ინტელიგენტთა დასასახლებლად.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 24 სექტემბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,90	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	37,35	
ლონდონზე ჩეკები	94,65	
ბერლინზე „	46,25	
პარიზზე „	37,60	
ბირჟის დისკონტი	4½—6½%	
4% სახელმწიფო რენტა	97⅛	გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	99½	„
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100	მყიდვ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	467½	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	355½	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	290¾	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	87½	„
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	89½	„
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	85	„
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	89½	მყიდვ.
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	185	გაყიდ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი. ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43) წ:); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 იმგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკეობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. 1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს.30 წ.([illegible] ს.28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. [illegible] წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ..).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ.(3 ს.48 წ).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 წ. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 ს). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—9)

ახალი წიგნი
ფიზიოლოგია
დ-რი ფოსტერისა
სურათებით
ფასი 25 კ.
იყიდება წიგნების გამომცემელ ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში.

ცინკოგრაფია
წიგნის. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

Дозв. ценз. Тифлисъ, 7 Октября, 1902 г.   ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Г[illegible]з. Издат. Т—ва).